



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

მევენახეობა-მელვინეობის ფაკულტეტი

ქართული მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

მოდულიზებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N59, 10 დეკემბერი, 2019 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით # 72

10 დიკემბერი, 2019 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა Master Educational Program in Georgian viticulture and oenology
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
ფართო სფერო
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია
ვიწრო სფერო
ინტერდისციპლინური
დეტალური სფერო
ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარია
სწავლის სფერო
მევენახეობა და მეღვინეობა
სწავლის ხანგრძლივობა
სწავლების ხანგრძლივობა 4 სემესტრი (2 სასწავლო წელი)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 ECTS კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი Master of viticulture and oenology
სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
პროგრამის ხელმძღვანელი
ოლან გოცირიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა - მეღვინეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ქართული მევენახეობა – მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ნებისმიერი მიმართულების/სპეციალობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, სპეციალობაში გამოცდის ნაცვლად შესაძლოა ჩატარდეს გასაუბრება.

პროგრამაზე სწავლის წინაპირობაა ინგლისური ენის **B2 დონეზე ცოდნა**.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის, უნივერსიტეტში, სპეციალობაში ჩატარებული შიდა გამოცდისა და ინგლისურ ენაში ტესტირების შედეგები.

ტესტირებისგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის **B2 დონეზე** ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

ამასთან, ინგლისური ენის **B2 (ALTE) დონეზე** ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

თუ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველი ვერ წარმოადგენს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერთიფიკატს, იგი ვალდებულია, ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა:

ტოიფელი (TOEFL PBT) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა;

ტოიფელი (TOEFL IBT) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა;

ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა;

ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ, პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ქართული მევენახეობა – მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია აღზარდოს ტრადიციული ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მცოდნე პროფესიონალი, რომელიც ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას სამეცნიერო და პრაქტიკული კუთხით;

სტუდენტს შეასწავლოს ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის დამახასიათებელი ტექნოლოგიური და სამეურნეო – პრაქტიკული ციკლი; განათლების დამამთავრებელ ეტაპზე „შექმნას“ ახალი ტიპის მევენახე, მეღვინე, აგროსამრეწველო პროცესებში ღრმად განსწავლული ადამიანი, რომელიც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტრადიციული ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგისა და ბიზნესის განვითარებას ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.

სამაგისტრო პროგრამის ამოცანაა: სტუდენტს შეასწავლოს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ყველა საფეხური, მსოფლიოში უკვე დამკვიდრებული თანამედროვე მიდგომის შესაბამისად, რომელსაც ეწოდება „ღვინო მიწიდან მაგიდამდე“. ამ მიზნით სტუდენტი უნდა გაეცნოს მსოფლიო და ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიას; შეისწავლოს რეგიონალური, აგროკლიმატური თავისებურებები და შეძლოს სავენახე ნაკვეთისათვის ნიადაგის შერჩევა, ეგრეთ წოდებული „ტერუარების“ აღმოჩენა; ადგილის მიხედვით განსაზღვროს ყურძნის ჯიში, დაეუფლოს ვაზის მოვლისა და ყურძნის მოყვანის ძირითად აგროტექნოლოგიურ მეთოდებს, დაავადებებსა და მათ წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებს, იზრუნოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღებაზე; დაგეგმოს და მართოს ვენახი, მასში მიმდინარე პროცესები და აკონტროლოს ხარისხი; დაეუფლოს ნედლეულის - ყურძნის მიღება-გადამუშავებისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების დამზადების, როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესებსა და მათ თავისებურებს; გაეცნოს მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში დანერგილ ტრადიციებს; შეისწავლოს ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ფიზიკო-ქიმიური შედგენილობა და დარგში გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ანალიზის მეთოდები; შეძლოს მევენახეობისა და მეღვინეობის ხარისხის მენეჯმენტის მართვა; აწარმოოს უმაღლესი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი ქართული ტრადიციული ღვინო და შეძლოს მსოფლიო ბაზარზე მისი სახელისა და ადგილის დამკვიდრება.

იმ მიზეზის დასადგენად, „რისთვისად ჩვენი ერი თავისებური ღვინის კეთებას ჰრჩეობს“, 2014 წელს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, საქართველოს საპატრიარქოსთან მჭიდრო კონტაქტში დაიგეგმა, მომზადდა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და შეიქმნა მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, სადაც სამაგისტრო სწავლების სტუდენტებმა, ქართული მეღვინეობა უნდა შეისწავლონ.

პროგრამის მესვეურებს მტკიცედ სწამთ, რომ მომავალში, ქართული მეღვინეობის პროდუქტზე, ქართული ტრადიციული ტექნოლოგიებით დამზადებულ ღვინოზე შეყვარებული, მრავალი უცხოელი ეწვევა საქართველოს და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს მხოლოდ ერთი მიზნით - შეისწავლონ ქართული მევენახეობა – მეღვინეობა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები:

- 1. დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- 2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ

საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

4. ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

5. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

6. დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

7. ინდუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

8. ანალიზის მეთოდი - გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

9. სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

10. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

11. ლაბორატორიული მეთოდი - გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

12. პრაქტიკული მეთოდები - აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

14. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის

სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში აისახება.

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები:

- 1. დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამძლავრებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- 2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- 3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
- 4. ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
- 5. გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.
- 6. დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
- 7. ინდექსირებული მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
- 8. ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- 9. სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
- 10. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.**
- 11. ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.
- 12. პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.
- 13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს

მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

14. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში აისახება.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები

1. ლექცია;
2. სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
3. სემინარები–დასმულ პრობლემაზე მსჯელობა/დისკუსია, ანალიზი, გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის პრინციპით; კითხვა–პასუხი; თავისუფალი დისკუსია; გონებრივი იერიში;
4. პრაქტიკული მეცადინეობები;
5. ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტის მომზადება;
6. პრეზენტაციები;
7. კვლევის წარმოება;
8. შუალედური გამოცდის მომზადება, დაგეგმვა;
9. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენება როგორც ზეპირი ასევე წერიტი (ტესტი, ქვისების განხილვა და ანალიზი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების ან კვლევითი თუ პრაქტიკული პროექტების მომზადებას და მათ პრეზენტაციას.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ**“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება, ისევე როგორც

სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება უნივერსიტეტში წარმოებს 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება.

შუასემესტრული შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ შეფასებებს, რომელიც ჯამში მაქსიმუმ 40 ქულის ტოლია და შუალედური გამოცდის შეფასებას, რომელიც მაქსიმუმ 20 ქულიანია;

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედურ შეფასებებში 25 ქულაა.

რაც შეეხება დასკვნით გამოცდას, მისი მაქსიმალური შეფასება 40 ქულაა ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია.

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასება შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებებით, 51 ქულის ტოლია.

დადებით შეფასებად ითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 ქულა და მეტი - სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა - სასწავლო კურსის ყველა კომპონენტების მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით) სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა - სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა - სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა - სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობებს.

უარყოფით შეფასებად ითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს, ის ფასდება ერთჯერადად, კომისიის წინაშე სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულ 30 კრედიტს და მიენიჭება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია.

აკადემიური ხარისხის/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების ან სხვა მიმართულების სადოქტორო პროგრამებზე, რომლებიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე, თუ მათზე მიღება რაიმე წინაპირობით არ არის შეზღუდული.

დასაქმების სფერო

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

- სავენახე ფერმერულ და მეღვინეობის მეურნეობებში;
- ქარხნებსა და ღვინის კომერციის, როგორც საქესპორტო ისე შიდა საბაზრო მოხმარების საწარმოებში;
- კვლევით და საცდელ მეურნეობებში;
- ღვინის, ცქრიალა ღვინისა და ბრენდის საწარმოებში;
- კვლევით და აკრედიტებულ ლაბორატორიებში;
- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მართვის შესაბამის უწყებებში;
- ღვინის ეროვნულ სააგენტოში;
- მევენახეობა-მეღვინეობის სასწავლო სამეცნიერო ცენტრებში.

<p>პროგრამის სტრუქტურა</p>
<p>ქართული მევენახეობა – მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ელემენტები (120 ECTS)</p>
<p>(A) სავალდებულო სასწავლო კურსები - 54 ECTS; (B) არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS; (C) პრაქტიკული კომპონენტი - 10 ECTS; (D) კვლევითი კომპონენტი - 41 ECTS.</p>
<p>სავალდებულო სასწავლო კურსები (54 ECTS)</p> <p>ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა გამორჩეული და ორიგინალურია სასწავლო კურსებითაც. გარდა მევენახეობა-მეღვინეობის თეორიული, ტრადიციული სასწავლო კურსებისა, პროგრამის ფარგლებში ცალკე კურსებად ისწავლება ქართული, ტრადიციული ქვევრი და მასში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებისა და მათი ორიგინალურობის შემსწავლელი დისციპლინები. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების ტექნოლოგიას და მის ორიგინალურობას.</p> <p>აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში ყურადღება გამახვილებული საეკლესიო ღვინის, ზედაშეს წარმოებასა და მის თავისებურებებზეც, ვაზის ჯიშებსა და ტექნოლოგიებზე, ღვინის დაყენებისა და ქვევრთან ჩასატარებელ რიტუალებზე.</p> <p>სტუდენტთა მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინგლისურ ენაზე ნებისმიერი სასწავლო კურსის სწავლებას.</p>
<p>სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (15 ECTS)</p> <p>გარკვეული მიმართულებით მაგისტრანტის სწავლების კონცენტრირება და ცოდნის გაღრმავება ხდება არჩევითი დისციპლინების მეშვეობით, მაგისტრანტის ინტერესისა და სურვილის გათვალისწინებით. არჩევითი სასწავლო კურსები მაგისტრანტს უღრმავებს ძირითადი საგნებიდან მიღებულ ცოდნას, აჩვენებს დამოუკიდებელ მუშაობას წყაროებთან, ეხმარება საკუთარი პრაქტიკული საქმიანობის კონსტრუირებასა და კვლევის არეალის გაფართოებაში. სწორედ ამ მიზნით არის არჩევით სასწავლო კურსებად გათვალისწინებული: ვენახის მავნებელ დაავადებათა მართვა, მსოფლიო ტრადიციული ტექნოლოგიები, ღვინო პროდუქციის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები და ა.შ.</p> <p>სტუდენტთა მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინგლისურ ენაზე ნებისმიერი სასწავლო კურსის სწავლებას.</p>
<p>პრაქტიკული კომპონენტი (10 ECTS)</p>
<p>პრაქტიკული კომპონენტი თეორიული სწავლების შემდეგ შემაჯამებელი კომპონენტია. მაგისტრანტი უშუალოდ შედის ქართული ტრადიციული, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამყაროს პრაქტიკულ ციკლში. ის უნდა მოერგოს შეთავაზებულ გარემოს, ადაპტირდეს მასთან, მოახერხოს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება კონკრეტულ სამეურნეო საქმიანობაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც საველე პრაქტიკა მევენახეობაში და საწარმოო პრაქტიკა მეღვინეობაში, 5-5 კრედიტის მოცულობით.</p>

კვლევითი კომპონენტი (41 ECTS)

გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა, სტუდენტი გადაწყვეტილებას იღებს შემდგომში კონკრეტული სფეროს კვლევასთან დაკავშირებით.

ზოგადად, კვლევითი კომპონენტი მაგისტრანტს უნვითარებს კვლევის უნარებს, რაც შემდგომში აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამეცნიერო კვლევის კომპონენტი მოიცავს: აკადემიური წერის სასწავლო კურსს (5 ECTS კრედიტი), კვლევის მეთოდოლოგია და დაგეგმვა აგრარულ მეცნიერებებში (6 ECTS კრედიტი), სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას (30 ECTS კრედიტი).

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

სტუდენტებისათვის ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი მეთოდების საუკეთესო გზით მიწოდებისათვის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში შეიქმნა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც დღეისათვის ჩვენი ქვეყნის აკადემიურ საგანმანათლებლო სივრცეში უნიკალურია თავისი ფუნქციური და სტრუქტურული დანიშნულებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტეგრირებით ერთ სივრცეში მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს სხვადასხვა დანიშნულების ერთეულებს. მათ შორისაა:

- სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები - ვაზისა და ღვინის მიკრობიოლოგიის, ვაზის ბიოლოგიისა და მევენახეობის, ენოქიმიის;
- პრაქტიკული და ექსპერიმენტული საქმიანობისთვის, ასევე ღვინის დეგუსტაციისათვის განსაზღვრული კაბინეტები;
- ქართული აბორიგენული უნიკალური ვაზის 108 ჯიშის საკოლექციო ნაკვეთი.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში თავისი დიდ როლს ასრულებს ოკამის ღვინის ქარხანა თავისი დღეისათვის უკვე გაშენებული და მსხმოიარობაში მყოფი 10 ჰა ვენახით. ყოველწლიურად ინტენსიურად იზრდება ვენახების ფართობი და გაშენებული ჯიშების სახეობები. სტუდენტებს კი შესაძლებლობა აქვთ, დაუბრკოლებლად მიიღონ მონაწილეობა ვაზის გაშენება-მოვლის თუ ყურძნის დაწურვა-გადამუშავების ყველა საველე და საწარმოო ოპერაციაში.

მარანი „კოლხი“ – მაღალხარისხოვანი და ტრადიციების დაცვით გამორჩეული არქიტექტურის მქონე ნაგებობაა, რომელიც ქართული მეღვინეობის სწავლების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ქართული მარანი აღჭურვილია ტრადიციული ქართული მევენახეობა - მეღვინეობისათვის დამახასიათებელი ინვენტარითა და ტრადიციული სამეურნეო ტექნიკით.

მომიებულ იქნა ძველი ქართული, ასწლოვანი ისტორიის მქონე ქვევრები, რომელთა ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები უდავოდ დიდ გავლენას ახდენს უნიკალური ქართული ღვინის დაყენებისას მიმდინარე პროცესებზე, ქვევრები, რომლებშიც დაყენებული, სამკურნალო თვისებებით დაჯილდოვებული ღვინო, მომხმარებლისთვის სიამოვნებასთან ერთად მუდამ იყო ჯანმრთელობის გარანტი.

დღეისათვის ქვევრებში დაყენებულია შემდეგი ქართული ღვინოები: ოცხანური საფერავი; ოცხანური საფერავი ჭაჭაზე დაყენებული; ჩხავერი; ჩხავერი ჭაჭაზე დაყენებული; ოჯალეში; ოჯალეში ჭაჭაზე დაყენებული და სხვა.

ქვევრებში დაყენებულ ქართულ ღვინოებს, უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში განუწყვეტლივ, დაღვინების ყოველ ეტაპზე უტარდება დაკვირვება და ხდება იმ პროცესების მართვა, რომლებიც ქვევრის ღვინის ხარისხის ამაღლებასთან არის

დაკავშირებული.

ქართული ექსპერიმენტული მარნისა და ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნის პარალელურად, მჭიდრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან და საქართველოს წამყვან ღვინის ქარხნებთან, რომლებთანაც ხელი მოეწერა მემორანდუმებს, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათ ბაზაზე პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად.

პროგრამის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით, საგარეჯოს რაიონში გამოყოფილ იქნა სავენახე ფართობები, სადაც იქმნება საცდელი მეურნეობა, რომლის მნიშვნელობა განუზომლად დიდი იქნება სტუდენტთა პრაქტიკულ განსწავლაში.

უნივერსიტეტის მულტიმედიაცენტრმა ეთნოგრაფიული და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესორ - მასწავლებელთაგან შექმნა მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, დაიგეგმა სამეცნიერო-საინფორმაციო-პოპულარული ფილმების მომზადება, რომლებიც მეღვინეობა-მევენახეობის სფეროს ისტორიასა და მის ისტორიულ განვითარებას შეეხება.

ქართული ღვინის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილია როგორც პრესკონფერენციების მოწყობა, ფართო საზოგადოებისთვის ამ დარგში არსებული სიახლეების გაცნობა და უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ექსპერიმენტული, სამეცნიერო ცენტრის მიერ მოძიებული აღმოჩენების მიმართ ქართული სამეცნიერო, პუბლიცისტური და ჟურნალისტური წრეების დაინტერესება, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, რომლებშიც სხვებთან ერთად აღნიშნული პროგრამის მაგისტრანტები და პროფესორ-მასწავლებლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

№	სასწავლო კურსი	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიური გადაწყვეტილებები
	სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	მევენახეობა	X	X	
2.	ენოქიმია	X	X	X
3.	მელვინეობა	X	X	X
4.	ვენახის ნიადაგების შერჩევა და მათი ნაყოფიერების მართვა	X	X	X
5.	ამპელოგრაფია	X	X	X
6.	მევენახეობის აგროტექნოლოგია	X	X	X
7.	ვაზის სელექცია - გენეტიკა	X	X	
8.	ვენახის მავნებელ დაავადებათა მართვა	X	X	X
9.	ქვევრის ღვინის ტექნოლოგია	X	X	X
10.	ღვინის წარმოების მიკრობიოლოგიური კონტროლი	X	X	
11.	ყურძნისეული წარმოშობის მაღალალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგია	X	X	
12.	ღვინის დეგუსტაცია	X	X	X
	არჩევითი სასწავლო კურსები			
1.	საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე)	X	X	
2.	დარგობრივი ინგლისური	X	X	X
3.	მევენახეობა-მელვინეობის კანონმდებლობა	X	X	X
4.	ღვინის სამომხმარებლო კულტურა მსოფლიო ბაზრებზე	X	X	
5.	ღვინის მარკეტინგი	X	X	

6.	მსოფლიოს ტრადიციული ტექნოლოგიები	X	X	
7.	ახალი ბრენდის შექმნა და მართვა	X	X	X
8.	კონკურენცია და კონკურენტული სტრატეგიები	X	X	
9.	ენოტურიზმი	X	X	
10.	ღვინო პროდუქციის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები	X	X	X
11.	საზოგადოებასთან ურთიერთობების (პიარის) საერთაშორისო პრაქტიკა – ქეისები და ანალიზი	X	X	X
12.	ღვინო-პროდუქციის ელექტრონული კომერცია და მარკეტინგი	X	X	
13.	უვნებლობის საფუძვლები მეღვინეობის ინდუსტრიაში	X	X	
14.	საწარმოო მიკრობიოლოგია	X	X	
პრაქტიკული კომპონენტი				
1.	საველე პრაქტიკა მევენახეობაში	X	X	X
2.	საწარმოო პრაქტიკა მეღვინეობაში	X	X	X
სამეცნიერო კვლევის კომპონენტი				
1.	აკადემიური წერა	X	X	X
2.	კვლევის მეთოდოლოგია და დაგეგმვა აგრარულ მეცნიერებებში	X	X	
3.	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა	X	X	X